

1. მიზანი და ამოცანები

- _ ფეხბურთის განვითარება და პოპულარიზაცია;
- _ საფეხბურთო გუნდებისთვის რეზერვების მომზადება;
- _ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდებისათვის პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევა;
- _ 2003 და 2004 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის გამარჯვებული გუნდების გამოვლენა.

2. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- _ თბილისის მერიის თასის გათამაშებას ხელმძღვანელობას გაუწევს თბილისის ფეხბურთის ფედერაცია.
- _ ლიგაში სათამაშოდ დაშვებული იქნებიან: თბილისის და თბილისის რეგიონის სკოლების გუნდები. აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონალური ფედერაციების თხოვნის საფუძველზე, თბილისის მერიის თასზე დაიშვებიან რეგიონების გუნდები, რომლებიც აკმაყოფილებენ ლიგის მოთხოვნებს.

3. მონაწილე გუნდები

3.1. თფფ-ს მიერ ორგანიზებულ მერიის თასის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საფეხბურთო სკოლების და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონის გუნდები. ორ ასაკობრივ ჯგუფში, 2003 და 2004 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის გამოვლინდებიან გამარჯვებულები. 2005, 2006, 2007, 2008 და 2009 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის გამარჯვებულები არ გამოვლინდებიან.

3.2. 2003 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირში მონაწილეობს 14 გუნდი, ტურნირი ჩატარდება 2 წრედ.

3.3. 2004 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირში მონაწილეობს 16 გუნდი, ტურნირი ჩატარდება 2 წრედ.

3.4. ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება - 3 ქულა, ფრე - 1 ქულა, წაგება - 0 ქულა

3.5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით.

- _ უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრათა შედეგები (ჯერ ქულათა რაოდენობა, შემდეგ - ბურთების უკეთესი სხვაობა).

- _ მოგებათა მეტი რაოდენობა

- _ ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა.

- _ გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა.

- _ სტუმრად გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა.

- _ ფიერ-ფლეის შედეგები.

- _ თუ გუნდების ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწეობა კენჭისყრა.

3.6. მატჩების ხანგრძლივობა: 2003 - 70 წუთი, 2004 - 60 წუთი, 2005 - 2006-2007 - 50წუთი, 2008-2009 - 40 წუთი. ყველა შესვენება გრძელდება 10 წუთი;